

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელი აბასთუმანი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7-13
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები..	10
შენიშვნა 5. ამონაგები.....	10
შენიშვნა 6. სხვა ხარჯები	10
შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები.....	11
შენიშვნა 8. მარაგი	11
შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
შენიშვნა 10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12
შენიშვნა 13. მსს ფასს-ზე გადასვლა.....	13

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	1.1.2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	10246248	5556175	4913161
არამატერიალური აქტივები		2390	2554	2742
სხვა გრძელვადიანი აქტივები		95380	69860	69860
სულ გრძელვადიანი აქტივები		10344018	5628589	4985763
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	8	168087	149522	149374
სავაჭრო მოთხოვნები	9	153600	153600	168188
სესხად გაცემული ფულადი სახსრები	10	729000	729000	729000
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	149368	150876	295294
სხვა მოთხოვნები		203015	108245	
სულ მიმდინარე აქტივები		1403070	1291243	1341856
სულ აქტივები:		11747088	6919832	6327619
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		7212270	7262270	6428769
გაუნაწილებელი მოგება _ზარალი		(846267)	(1755750)	(1586866)
რეზერვები		5361766	1380000	1380000
სულ საკუთარი კაპიტალი		11727769	6886520	6221903
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები		0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	22177	32508	24128
სახელოფასო ვალდებულება			804	64352
საგადასახადო ვალდებულება			0	17236
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-2858	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19319	33312	105716
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11747088	6919832	6327619

რევაზ ქლენტი
 დირექტორი

რ. ქლენტი

2025 წლის 29 სექტემბერი
 აბასთუმანი, საქართველო



ეთერ მათოშვილი
 ფინანსური მენეჯერი

ეთერ მათოშვილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“ კაპიტალის
ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები		2045817	1927857
სხვა შემოსავლები		428924	308615
სულ ნეტო ამონაგები	5	2474741	2236472
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(1357928)	(1182999)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(529025)	(467721)
სხვა ხარჯები	6	(598050)	(754635)
სულ საოპერაციო ხარჯი		(2485003)	(2405355)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(10262)	(168883)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		6886520	6221903
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(10262)	(168883)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		4851511	833500
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს		11727769	6886520

რევაზ ჟღენტო
დირექტორი

ნ. ჟღენტო

2025 წლის 29 სექტემბერი
აბასთუმანი, საქართველო



ეთერ მათოშვილი
ფინანსური მენეჯერი

ეთერ მათოშვილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“ კაპიტალის
ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	გადაფასებ ის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	საწესდებო კაპიტალი
1.1.2023 წაშთი	1380000	(1586866)	6428769
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			833500
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		(168883)	
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება			
31.12.2023 წაშთი	1380000	(1755750)	7262270
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			(50000)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		909483	
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება	3981766		
31.12.2024 წაშთი	5361766	(846267)	7212270

რევაზ ჟღენტო
დირექტორი

რ. ჟღენტო

2025 წლის 29 სექტემბერი
აბასთუმანი, საქართველო



ეთერ მათოშვილი
ფინანსური მენეჯერი

ეთერ მათოშვილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	2049767	1950774
მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(605969)	(754324)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(1361228)	(1274557)
გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	82570	(78107)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	16683	22265
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(100761)	(88576)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების შედეგად საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები		
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები		
სესხად გაცემული ფულადი სახსრები		
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1508)	(144418)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(1508)	(144417)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	150876	295294
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	149368	150876

რევაზ ჟღენტო
 დირექტორი

მ. ულერა

2025 წლის 29 სექტემბერი
 აბასთუმანი, საქართველო



ეთერ მათოშვილი
 ფინანსური მენეჯერი

[Handwritten signature]

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“ რეგისტრირებულია 2019 წლის 3 ოქტომბერს, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართით საქართველო, ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბასთუმანი, საწარმო დაფუძნებულია სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“-ს მიერ 100%-იანი წილით

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურების(რეაბილიტაცია) გაწევა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის პირველი იანვარი.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

რევაზ ჟღენტი
დირექტორი

რევაზ ჟღენტი

2025 წლის 29 სექტემბერი
აბასთუმანი, საქართველო



ეთერ მათოშვილი
ფინანსური მენეჯერი

ეთერ მათოშვილი

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

რევაზ ჟღენტო
დირექტორი

მ. ადელაი

2025 წლის 29 სექტემბერი
აბასთუმანი, საქართველო



ეთერ მათოშვილი
ფინანსური მენეჯერი

Handwritten signature of Eteri Matoshvili.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

რევაზ ჟღენტი
დირექტორი

რ. ჟღენტი

2025 წლის 29 სექტემბერი
აბასთუმანი, საქართველო



ეთერ მათოშვილი
ფინანსური მენეჯერი

ეთერ მათოშვილი

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადის-კონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

შენიშვნა 5. ამონაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	2474741	2236472
	2474741	2236472

შენიშვნა 6. სხვა ხარჯები

31 დეკემბერი 2024 31 დეკემბერი 2023

რევაზ ჟღენტა
დირექტორი

რ. ჯღენტა

2025 წლის 29 სექტემბერი
აბასთუმანი, საქართველო



ეთერ მათოშვილი
ფინანსური მენეჯერი

ეთერ მათოშვილი

საოფისე ხარჯები	12117	8714
სამიწვინებო ხარჯები	750	735
გადასახადები (საპენსიო, ქონების გადასახადი)	5031	4300
ბანკის მომსახურება	1418	1697
სატენდერო განცხადებების გამოქვეყნების ხარჯი	475	1475
სხვა ხარჯი	578259	737714
სულ	598050	754635

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები- სატრასპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება				
1 იანვარი 2024 წ.	5152640	1284352	259853	6696845
შემოსვლა		315303	33601	348904
გასვლა		46626	20673	67350
31 დეკემბერი 2024 წ.	5152640	1553029	272781	6978399
დაგროვილი ცვეთა	1094936	744423	127310	1966669
1 იანვარი 2024 წ.	4057704	808606	145471	5011730
წლიური ცვეთა	257632	220199	51198	528978
საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე	3800072	588407	94273	4482752

თვითღირებულება 1 იანვარი 2024 წ.	5152640	1552978	272781	6978399
გადაფასება	1405360	(349976)	(46534)	1008850
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2024 წ.	6558000	1203002	226247	7987249

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

შენიშვნა 8. მარაგი

ნედლეული და მასალები
დაუმთავრებელი წარმოება

31 დეკემბერი 2024
157492
0

31 დეკემბერი 2023
131643
0

რევაზ ჟღენტი
დირექტორი

რ. ჟღენტი

ეთერ მათოშვილი
ფინანსური მენეჯერი

ეთერ მათოშვილი

2025 წლის 29 სექტემბერი
აბასთუმანი, საქართველო



მზა პროდუქცია

10595

17879

168087

149522

შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

მოთხოვნები დარიცხული შემოსავლებიდან

153600

153600

შენიშვნა 10. სესხად გაცემული ფულადი სახსრები

31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

729000

729000

შენიშვნა 11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე

149368

150876

149368

150876

შენიშვნა 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

სავაჭრო ვალდებულებები

მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახადელი

სხვა მომწოდებლებისათვის გადასახადელი

19319

32508

რევაზ ჟღენტის
დირექტორი

რ. ჟღენტი

2025 წლის 29 სექტემბერი
აბასთუმანი, საქართველო

ეთერ მათოშვილი
ფინანსური მენეჯერი

ე. მათოშვილი



შენიშვნა 13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენები.

შენიშვნა 14. მსს ფასს-ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემო-ებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

რევაზ ჟღენტი
დირექტორი

მ. ჟღენტი

2025 წლის 29 სექტემბერი
აბასთუმანი, საქართველო



ეთერ მათოშვილი
ფინანსური მენეჯერი

[Handwritten signature]